თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 18

27 სექტემბერი 2019 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 24 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილ თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი" თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები" თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	ვასილ არაბული;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე	გიგა მამუკელაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე	გიორგი ქიზიყელაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარის მოადგილე	მიხეილ გრემელაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ ნაცარაშვილი;

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ნიკოზ მაისურაძე (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ფიქრია ყუშიტაშვილი;**
იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი;**
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დიმირი ზაქაიძე;**
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ვახტანგ გაგნიძე;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: **ნინო ასანაშვილი, სოფიო ოხანაშვილი;**
მოქალაქეები: **შ.დათუნაშვილი, მ.მოსიაშვილი, ა.მჭედლიშვილი, ნ ვარდოშვილი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. ირაკლი სულხანიშვილის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N07 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ვ.გაგნიძე
12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

5. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 101 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.40სთ-დან - 12.50 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.50სთ-დან - 13.00 სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
13.00სთ-დან - 13.10 სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
13.10სთ-დან - 13.20 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> ირაკლი სულხანიშვილის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

<u>**გადაწყვიტეს:**</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად ირაკლი სულხანიშვილის უფლებამოსილება **მიღებულ იქნეს ცნობად.**

(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22 (ოცდაორი)წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო** 1-მა (ერთი) წევრმა: **ზ.ნაცარაშვილმა**).

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღანიძემ** დასვა კითხვა - ტრანსპორტით მომსახურების დაფინანსების გაზრდის აუცილებლობის შესახებ, რაზეც მომხსენებლის მიერ გაკეთებული იქნა შესაბამისი განმარტებები.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22-მა (ოცდაორი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N07 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი **(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).**

მესამე საკითხის განხილვის შემდგომ სხდომის მსვლელობას შემუერთდა გ.ქიზიყელაშვილი.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ვ.გაგნიძე
12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.მამუკელაშვილმა** დასვა კითხვა არქეოლოგიური გათხრების სამუშაოების ვადების შესახებ (მოესწრება თუ არა მიმდინარე წელს).

მომხსენებელმა კი განმარტა, რომ წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს სამუშაოები.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი **(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).**

5.მოისმინეს: ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 101 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. დ.ზაქაიძე
12.40სთ-დან - 12.50 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **მოქალაქე შ.დათუნაშვილმა** აღნიშნა, რომ გარკვეული მიზეზების გამო ვერ შეძლეს მშენებლობის დაწყება. თუმცა ამ ეტაპზე პროექტი უკვე შეთანხმებულია მერიასთან და უახლოეს მომავალში შეძლებს მშენებლობის დაწყებას.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23-მა (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ.კოჭლოშვილმა.**

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. დ.ზაქაიძე

12.50სთ-დან - 13.00 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი **(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).**

<u>7.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. დ.ზაქაიძე

13.00სთ-დან - 13.10 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი **(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).**

<u>8.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ.ზაქაიძე

13.10სთ-დან - 13.20 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.კოჭლოშვილმა** დასვა კითხვა სამსახურებრივი ავტომანქანების რაოდენობის შესახებ საშტატო რიცხოვნობასთან მიმართებაში.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22-მა (ოცდაორი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა, წინააღმდეგი** 1 (ერთი) წევრი **ლ.კოჭლოშვილი.**

საკრებულოს წევრმა **ი.პარწიკანაშვილმა** და მოქალაქე **ა.მჭედლიშვილმა** მოითხოვეს განცხადებების გაკეთების უფლება, რაზეც თავმჯდომარისაგან მიიღეს თანხმობა.

ი.პარწიკანაშვილმა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ სოფელ აკურაში ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება დიდი ხარვეზებით, რაც დროულად უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეს დაევალა საკითხის შესწავლა.

ა.მჭედლიშვილმა საკრებულოს გააცნო ინფორმაცია ახალგაზრდების მიერ შემუშავებული ინიციატივების შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილია მოხდეს მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში, აღნიშნული ინიციატივები წარდგენილია მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით.

ა.მჭედლიშვილმა საკრებულოს წევრებს მოსთხოვა თანადგომა აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**